ხელშეკრულება #65

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

(მომსახურების შესყიდვა)

გორი 24 აგვისტო 2015 წ.

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანებითდამტკიცებული ,, გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონლი ტენდერის და ელექტრონლი ტენდერის წესის მე–3 მუხლის 1 პუნქტის (ა) ქვეპუნქტის თანახმად, ერთის მხრივ, გორის,კასპის, ქარელის,ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია (შემდგომში შემსყიდველი), სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორის ზურაბ რუსიშვილის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს ,,სი–თი პარკ" (შემდგომში მიმწოდებელი), მისი გენერალური მენეჯერის ბინიამინ ლაჰავის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია, შ.პ.ს ,, სი–თი პარკი"–ს მომსახურების შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია:

შ.პ.ს ,,სი–თი პარკის" მომსახურება (CPV 983) ავტომანქანაზე SKODA (სახ.ნომრით AA 416 CC)

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

3.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 25.00 (ოცდახუთი) ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას,რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი,ვადები და პირობები

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება 2015 წლის 24 აგვისტოდან 2016 წლის 24 თებერვლის ჩათვლით.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი.

5.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, ,,მიმწოდებელი" ვალდებულია წარმოადგინოს ანგარიშფაქტურა.

6. ანგარიშწორების ფორმა

6.1 ,,მიმწოდებელთან" ანგარიშწირება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

6.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულება ანაზღაურდება უნაღდო ანგარიშწორებით.

6.3 ანგარიშწორება ,,შემსყიდველის" მიერ მოხდება სტანდარტული გადახდით.

6.4 ანგარიშწორება ,,შემსყიდველის" მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდების და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3 მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ, არაუმეტეს 10 საბანკო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1 ,,შემსყიდველს" უფლება აქვს:

– შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2 ,, შემსყიდველი" ვალდებულია:

– მოახდინოს ანგარიშწორება ,,მიმწოდებელთან" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

– უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 ,,მიმწოდებელს" უფლება აქვს:

– მოსთხოვის ,,შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია:

– მიაწოდოს ,,შემსყიდველს" ხელშეკრლებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე.

– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისთვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ, ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია გამოენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, შესაბამისად გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობა.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2016 წლის 30 მარტამდე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საუძველზე.

10.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11. სხვა პირობები

11.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ნახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკაშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ნ დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ,რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
გორის,კასპის,ქარელის,ხაშურის	შ.პ.ს „სი–თი პარკ“
მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ	საიდენტიფ.კოდი#204543770
გორის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო	ქ.თბილისი,კანდელაკის ქ.#47
რწმუნებულის–გუბერნატორის ადმინისტრაცია	ტელ:2555123
ქ.გორი, სტალინის გამზ.#16	ს.ს „ბანკი რესპუბლიკა“ ც / ფ
სახელმწიფო ხაზინა ანგ:200122900	ბანკის კოდი: REPLGE22
კოდი: TRESGE22 საიდენტ.კოდი #217889514	ანგარიშის#GE90BR0000010608618945
სახელმწიფო რწმუნებული –	
გუბერნატორი	
.... ზ. რუხიშვილი	.... ბ. ლაჰვე

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები

ქ.გორი 20 აგვისტო 2015 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ გორის,კასპის,ქარელის,ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ ხელშეკრულება #65 შ.პ.ს ,,სი–თი პარკ"–თან ,გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

გორის,კასპის,ქარელის,ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი.

_____ *ზ. რუსიშვილი*

მიღება– ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი:

გორის,კასპის,ქარელის,ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის აპარატის უფროსი სპეციალისტი.

_____ *გ.იაკობაშვილი*